№ 151
შაბათი, 16 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 151
შაბათი, 16 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

კნეინა ნინო ფავლენიშვილისა, სოფიო ქაიხოსროს ასული ფავლენიშვილისა, ბარბარე დავითის ასული ხიდირბეგიშვილისა, მაგდან დავითის ასული ტერიევისა და თავ. კონსტანტინე ხიდირბეგიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისას, მეორე მეუღლისას, მესამე და მეოთხე ძმისასა და მეხუთე ცოლის ძმისას, თავადის ივანე დავითის ძის ფავლენიშვილისას, უმორჩილესადა სთხოვენ პატივი სცენ დ ამობრძანდნენ გორის მაზრის ს. ერედვში 17 ივლისს ამა წლისას, კვირას და დაესწრონ მიცვალებულის დასაფლავებას.

(1—1664—1)

იასონ ელიოზიშვილი, ლევან ტერ-ასატუროვი, განსვენებულის ანდერძის აღმასრულებელნი, და ბაგრატ მიქელაძე, განსვენებულის მაზლისწული, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქვრივის მარიამ ივანეს ასულის მიქელაძისას და სთხოვენ მობრძანდნენ კვირას, 17 ამა ივლისს, დილის 9 საათზედ, ექსარხოსის მოედანზედ, ზახარბეგოვის სახლში, საიდგანაც მიცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება სიონის საკათედრო ტაძარში.

(2—1563—1)

ვბეჭდავ და მალეც გამოვა ალბომი ქართულ მონოგრამებისა, (ჩართულ ასოებისა) რომლის მოხაზვა-ამოჭრისთვის შემიწირია 11 წლის ჩემი თავისუფალი დრო, სულ 540 ასოა, გლადით (დასითვით) ამოსაკერად ნაქსოვებზე და ლითონის ნივთებზე ამოსაჭრელად გამოსადეგი.

ალბომს ვუძღვნი კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას.

ამ ალბომების შემოსავლიდამ 10 პროცენტი შემიწირია მომავალ საქალებო ქართულ სკოლისთვის. საწყობი იქნება წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ამ მონოგრამებიანი ფოსტის ქაღალდები და კონვერტები შემიძლიან დავბეჭდო მსურველთათვის ვინც ასამდე შემომიკვეთს.

გრ. ტატიშვილი

## ახალი ამბავი

*** საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა ნება დართო შეუდგენ საქართველოს შიომღვიმის ძველის ტაძრის განახლებას, რომელიც ამ უკანასკნელს დროს ძალიან დაზიანდა. ეს მონასტერი აგებულია ღვაწლ-მოსილის წმიდა შიოს მიერ და შეიცავს მრავალს საისტორიო და საარქეოლოგიო ძვირფასს ნაშთს.

*** 12 ივლისს სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა ქალაქის მოურავს აუწყა, რომ ზოგი მომრიგებელი მოსამართლე სასანიტარო კანონის დარღვევის გამო ძალიან ცოტა ჯარიმას ახდევინებს სახლის პატრონებსაო. ამის გამო, სასანიტარო საბჭოს აზრით, რასაკვირველია, ყოველი სახლის პატრონი უფრო სიამოვნებით გადიხდის ცოტაოდენ გარდასახადს და მკურნალის გადაწყვეტილებას-კი არ შეასრულებს, რასაც 100—200 მან. უნდება. ამ რიგად ეს ერთად-ერთი საშუალება, რომლითაც მკურნალთ შეუძლიან აასრულებინონ სახლის პატრონებს სასანიტარო წესები, სრულიად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და სახლის პატრონი თავისუფლად ჰმოქმედობს და ყურადღებას არ აქცევს მკურნალთა რჩევასა და წინადადებას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს დადგენილებით ქალაქის გამგეობას შეუძლიან ყოველი სასანიტარო სამუშაო თითონ გააკეთებინოს და შემდეგ სახლის პატრონს გადაახდევინოს, მაგრამ ქალაქის გამგეობას ამ ჟამად არ შეუძლიან ეს უფლება გამოიყენოს, რადგან მხოლოდ 1,500 მანათამდე არის გადადებული სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილების ასასრულებლად.

ზემო აღნიშნულის გამო სასანიტარო საბჭომ თავის კრებაზედ, რომელიც იყო 30 ივნისს, დაადგინა: აცნობოს ყოველივე ქალაქის მოურავს და სთხოვოს: 1) იშუამდგომლოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე, რომ ოქმები სასანიტარო საქმეების შესახებ გარჩეულ იყოს სწრაფად, რიგს გარეშე, და 2) ამ ოქმების თაობაზედ უფრო მეტად და სასტიკად დაისაჯონ დამნაშავენი, როგორც ამას საჭიროდა სთვლის კიდეც ბ-ნი გუბერნატორი.

ამის შესახებ 13 ივლისს ქალაქის გამგეობამ დაადგინა თურმე: იშუამდგომლოს, რომ სასანიტარო საქმეები განხილულ იქმნენ სწრაფად, რიგს გარეშე და ერთი-ერთამანეთზედ, და აუწყოს სასანიტარო სამკურნალო საბჭოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად გადადებულ ფული ჯერი დახარჯული არ არის და ამის გამო არც საჭიროა ამ თანხის გაძლიერებაო.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებელმა ამ დღეებში განკარგულება მოახდინა, რომ იმ მოხელეთ, რომელნიც დათხოვილ იქმნებიან, ანგარიში იქვე მიიღონ სადაც მსახურებდნენ, სადგურშივე შესულ ფულიდგან და არა უმთავრესის კასსიდგან, რათა ამ ანგარიშის გულისთვის ტფილისში ჩამოსვლას არ იყვნე იძულებულნიო.

*** პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ექვსიდგან შვიდ ივლისამდე, ერთ დღე-ღამეს, პეტერბურღში ხოლერით ავად გამხდარა 198 სული და გარდაცვლილა 101.

*** „Кав. С. Х.“ იუწყება, რომ მთავრობის განსახილველად შეტანილ იქმნა პროექტი ახალის ამხანაგობისა, რომელიც აპირებს ზაფრანის პლანტაციების დაარსებას ბაქოს მიდამოებშიო.

*** გაზ. „Нов.“-ის სიტყვით, კავკასიის მთა-მადნის სამმართველოსაგან გამოკვლეულ იქმნება ცემენტის ქვის მადანი შავი ზღვის ნაპირებზე ნოვოროსიისკს და გელენჯიკის შუა. გამოიკვლევენ ნოვოროსიისკსა და გელენჯიკის შუა მდებარე სახელმწიფო და საკომლო მიწებს და, თუ შესაძლებელი იქნება, გელენჯიკიდგან სამხრეთით მდებარე სახელმწიფო მიწებსაც. („Т. Л.“)

*** 6 აპრილს აქთია ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ნიხრი კავკასიის რკინის გზის ნავთლუღის სადგურამდე წასასვლელი ეტლით. ტფილისის გამგეობისაგან ხუთი ეტლია დანიშნული მორიგედ, რომელიც მატარებლის მოსვლის დროს ნავთლუღის სადგურთან უნდა იდგეს, მაგრამ, ეს ეტლები არ გადიან სადგურზედ და მოგზაურნი იძულებულნი არიან იმ სიშორე გზა ფეხით გამოიარონ. ამას გარდა ნავთლუღის სადგურზედ წასასვლელად მეეტლეები ნიხრით დანიშნულ ფასზედ მეტს ილებენ. ამ ბოლოს დროს ქალაქის მოურავმა ყურადღება მიაქცია და სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს დანიშნოს ხუთი ეტლი იმ პირობით, რომ ყოველ მატარებლის წასვლა-მოსვლაზედ ნავთლუღის სადგურზედ იყვნენ ხოლმე. („Т. Л.“)

*** სოფ. ხუმელაგა. (კავკავის მაზრა) ივლისის ორს სოფელ ხუმელაგის სამრევლოს მღვდელმა ნ. ბაძემ მოჰნათლა მაჰმადიანის ოსის ასლან

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

გასოცხლდი, აღზდექ გმირთ-გმირო,
მჩაგვრელნი გვემტერებიან,
ვიგონებ შენსა სახელსა,
თვალს ცრემლნი მიზრწყინდებიან,
ვისსენებ ათას სასსენელს,
გულს ცეცხლნი მეკიდებიან,
სული სტირს, გული ქვითინებს,
ორნივ ყელს მებჯინებიან.

დ. მაჩხანელი

### მუნჯი მაჭანკალი

(ნამდვილი ამბავი)

ნიკოლოოზ უტვინაძე ეს-ეს არის სამსახურიდგან დაბრუნდა. შევიდა თუ არა სახლში, მაშინვე მსახურს ტუქსვით შეუტია:

— ბიჭო, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ სუფრა ყოველთვის გაშლილი იყოს! შე ოხერო, მე-კი არა, შენა ხარ ბატონი! მშიერი და მუშაობით დაღლილი მოვდივარ და ყოველთვის უნდა შენ გელოდო, აბა როდის მოისურვებს და სადილს მაჭმევს-მეთქი.

— ბატონო! დიდი ბატონი ჯერ ხომ არა გხლებიათ და მეც იმათ მოსვლამდის სუფრას გავშლი. სადილი-კი კარგა ხანია მზადა მაქვს...

— ვინ ბატონი, რას მიჰქარავ! მე ვარ, რაცა ვარ—ის ჩემთან სამადლოდ შემოხიზნულია და... გაეთრიე, მალე გაშალე სუფრა.

მსახური უკმაყოფილოდ და ბუტბუტით გაბრუნდა. უტვინაძე გამოტრიალდა და ოთახის ქუჩის მხრის ფანჯარასთან დადგა.

— მიჰქარავს! დიდი ბატონი აქ მე ვარ!.. მართალია, ის წლოვანებითაც და სამსახურითაც დიდია, მაგრამ იმისი ცხოვრების ოსტატობა გაცვდა, დაბერდა, ხავსი მოეკიდა, მე-კი... სულ ეხლანდელ დროს შესაფერი ჭკუა-გონება მაქვს და ხელი გალესილი და ვაი იმას, ვინც ჩემს გალესილს ხელს წამოედება! მაგრამ აგერ ისიც მოდის.

ნიკომ სახლისაკენ მომავალი თავის თანამდგმური დაინახა და უკმაყოფილოდ გაიღიმა...

— რა საცოდავად მობაჯბაჯებს! დროა, დრო უძლურმა ძლიერს ადგილი და ცხოვრების სარბიელი დაუთმოს. ან რაღა დროს მაგის მუშაობაა! ალაგსაც ჰხაფრავს და ხელსაც მიშლის... ეგ ძველი ოსტატია, მე ახალი ვითომ! მაგრამ, ვინ აჯობა? მე, რასაკვირველია. რად ვაცხოვრებ ჩემთან... იმად, რომ ჩემს ოსტატობას მაგის გამოცდილ ოსტატობასთან ვზელავ და ერი ბიჭო!.. ვინც რა უნდა სთქვას და ჩემ წისქვილს-კი საფქვავი არ აკლდება... ასე, ჩემო სესიაო, შენ ბურნუთის თესიაო... უკანასკნელ ბრძნულს მახვილობასთან ერთად უტვინაძემ გადიხარხარა.

— შენ ძალიან გუნებაზედ ხარ, ნიკო უთხრა ახლად შემოსულმა სიმონმა.

— სწორედ, რომ კარგს გუნებაზე ვარ! ჩვენი საქმე ჩინებულად მიდის, ხალხი იპარსება, კუჭი ძღება, ხელი თბება და ჯიბე სუქდება. ჩვენი სიმბოლოც ხომ ეს არის და აბა შენ მითხარ, რაკი ასე სავსებით ხორციელდება იგი, სიხარული არა გვმართებს.

— შენ-კი ჰო, მაგრამ მე ჩემი დრო მოვჭამე; რაც გადამხდა, ისიც კმარა.

— არც თუ ეხლა იუკადრისებ რასმე. მით უფრო, რომ „შეჩვეულსა ნუ მოაკლებ, შეუჩვეველს ნუ შეაჩვევო“. ხომ გაგიგია. შეჩვეულის შენთვის მოკლება, ამ ცხოვრების უარ-ყოფა იქნება შენგან. დაჰბერდიკი, მაგრამ შენთან ახალი შეთითხნილი მოსამსახურე ხელს როგორ გაიწვდენს? მეც-კი ჯერ ვერ შეგედრები, მაგრამ სრული იმედი მაქვს ჩემს ნაკლს შენთან ცხოვრება შეავსებს...

— სუფრა მზად გახლავთ, ბატონო! მოსაუბრეთ მოახსენა მსახურმა.

დღიურის მუშაობით დაღლილნი, როგორც სთქვეს, სუფრას მოუსხდნენ და გამგელებული მიესივნენ ხორაგს.

მსახურმა ბატონებს წვნიანი მოართვა და მოახსენა:

— სოფლელი კაცი გახლავთ საქმე მაქვსო.

— ცარიელი მოვიდა? ჰკითხა მსახურს ნიკომ.

— არა, ბატონო, ორი დედალი და ტიკჭორით ღვინო მოგართვათ...

— მოიცადოს! მსახური გავიდა.

— ღმერთო უმატე! წამოიძახა, ნიკომ.

— არა, შენ კიდევ ხამი ხარ ნიკო, განა არ იცი, რომ ჩვენთან საქმისათვის ხელ-ცარიელი არავინ მოვა? ბიჭს რაღასა ჰკითხავ!

— მაშ არ უნდა ვიცოდე, ვის როგორ ესმის ჩვენი პატივისცემა? ან განა საჭირო არ არის ვიცოდეთ, ჩვენს შრომას ვინ როგორ აფასებს?

— შენს სიტყვებზედ მომაგონდა, ნიკო! უბრალო ხალხის დაფასება რაში გვარგია! ისინი თავით-ფეხამდის ჩვენს ხელში არიან! სად წავლენ! ან როგორ შეიძლებენ უპატივისცემოდ მოგვექცნენ... ეს არაფერია, მაგრამ შენ ის უნდა გიხაროდეს, რომ სხვანიც გაფასებენ! ნეტავი შენ... სვიმონი დაჩუმდა, საშინლად ამოიოხრა, შურის თვალით შეჰხედა ნიკოს და თავისდა უნებურად თავში იმ აზრმა გაურბინა, რატომ მეც შენსავით ახალგაზდა არა ვარო.

— ვინ სხვა? შეეკითხა ნიკო.

— შენც ხომ იცი, რომ აქ ერთი მდიდარი გასათხოვარი ქალია! იმ ქალს თურმე შენ ძალიან მოსწონხარ!

— ნუ ხუმრობ, სვიმონ!

— არ-კი გეხუმრები, მართალს გეუბნები და გირჩევ კიდეც ნულარ დაიგვიანებ და კაცი გაუგზავნე... ხუმრობა საქმეა შვიდასი თუმანი და ახალგაზდა გოგონა!.. მერე შენ ხელში ის ფული რა ნაირად იბარტყებს... რასაკვირველია, უზრუნველად გაგხდის...

— როგორღაც არა მჯერა, კაცო!

ბეგა სლონოვის ცხრამეტის წლის ქალიშვილი ,,აკოლა'', რომელსაც სახელათ უწოდა ,,ალექსანდრა''

ხუმელაგაში, სოფლის პირდაპირ, ამ თვის ექვსს ღამე, ღამის მატარებელმა გასრისა რკინის გზის დარაჯი ივანე, ტომით გერმანელი. საბრალოს, მატარებლის ლოდინში, ზედ ლიანდაგზედ დასძინებოდა, მოუსწრო მძინარესთვის მატარებელს და, შავზედ გადაეწყვიტა.

ხუმელაგაშივე ამ თვის რვას, ნაშუადღევის სამს საათზედ, ძალიან ჩამოცხა, უეცრათ ცა შავის ღრუბლით შეიმოსა და საშინელი მსხვილი შხაპუნა წვიმა დაუშინა; წვიმას თან მოჰყვა, მსხვილი სეტყვაც, სეტყვამ დიდად დააზარალა ხუმელაგელი და, ახლო-მახლო სოფლელების სიმინდები და მოსამკელი პურები, სეტყვა ჩრდილოეთისაკენ გადაეშვა.

საქონლის ჭირი თან-და-თან ედება ბარის ოსების სოფლებს. ასე გასინჯეთ, ბეითალები ვეღარ უშოვნიათ და ზოგი სოფლები უბეითალოდ არის.

⁂ საჯავახო: ჩვენში წითელა სულ აღარ არის, მხოლოდ ერთ სოფელში ყელის ტკივილით ავადმყოფობა გაჩნდა, ყელ-ჭირვება, რომელსაც ჩვენში ,,კისერ-ბატონებს'' ვეძახით.

⁂ სადგურ ყარაბუჯახს 14 ივლისს საღამოს ცხრა საათზედ, მივიდა ათი შეარაღებული თათარი და უთხრეს სადგურზე მოსამსახურეებს, გვითხარით, ხომ არა ყოფილან აქ ყაზახები ჩვენ საძებნელად და თუ იყვნენ წავიდნენ, თუ არაო. და თუ არ გვეტყვით იცოდეთ, რომ ყაჩაღები ვრთ და ყველას ამოვჟლეტთო მოსამსახუეებმა უპასუხეს თურმე, ჩვენ არავინ გვინახამსო. ათნივე მაშინვე გასდგომიყვნენ გზასა.. ასეთივე ამბავი მოხდა სადგურ კუროქჩაიში. ამ ორ სადგურის მოსამსახურენი დიდად შეშინებულნი არიან

⁂ 14 ივლისს, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად ავდიმ-სიმან-ოღლიმ თ. არჩილ თარხან-მოურავს გულიდგან 50 მან. ღირებული საათი ააგლიჯა, თარხან-მოურავმა დამნაშავე იქვე შეიპყრო, მაგრამ საათი-კი ვეღარ უპოვა.

⁂ ამავე დღეს იარმუკის დაღმართში მეჯინიბის სოკოლოვსკისა და კონდუქტორის დაუდევრობით ცხენის რკინის გზის მატარებელმა კინაღამ სამოცის წლის დედაკაცი გასრისა. მატარებელი გაქანებული მიდიოდა, ლიანდაგზე იდგა ესტერ ზიგელსკენი, კონდუქტორმა და მეჯინიბემ არც ზარით და არც სხვა რითიმე არ აცნობეს ქალს, რომ გზას ჩამოსცლოდა. საბრალო ერთბაშად დაიბნა, შიშის გამო იქვე წაიქცა, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა, გზას ჩამოაცილა და გასრესას გადაარჩინა. კონდუქტორიცა და მეჯინიბეც პასუხის გებაში არიან მიცემულნი.

⁂ 14 ივლისს შანშიევის მზარეულმა რაჭის მცხოვრებელმა გიგო მამარაძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ კოჯრის ქუჩაზედ, შადინოვის სახლში, ოთახიდგან 27 მან. ფულად მომპარესო.

⁂ ამავე დღეს მეთევზეებმა მტკვრიდამ ამოიღეს 28 ივნისს დამრჩვალი ნინო ბოგინაშვილის გვამი.

## დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი

სიჭაბუკისას სიყვარულისათვის ვცოცხლობთ მხცოვანებისას სიცოცხლისათვის ვეტანებით სიყვარულს.

ევრემონტი

**

თეორია და პრაქტიკა შეადგენენ ერთს არსებას, როგორც სული და სხეული, და ხშირად ისინიც სულსა და სხეულისავით ვერა რიგდებიან ერთმანეთში,

მარია ებნერ-ეშენბახი

## კორესპონდენცია

**ს. ბორჩხა.** (ჭოროხის ხეობა), 7 ივლისი. ჯერ-ჯერობით სანატრელი დარები სდგას ამ ხეობის მცხოვრებთათვის. მართალია, მაისმა ცოტა არ იყოს შეგვაწუხა უწვიმობით, მაგრამ ივნისმა კი ისახელა თავი და ფუხაროს წალმა მოუბრუნა ბედი. ივნისში კვირა არ გასულა ისე, რომ ორი დღე მაინც არ ყოფილიყო კაი ლაზათიანი წვიმა, და ეს ხომ აქაურის ნიადაგისთვის აუცილებელი საჭირო იყო, რომ ჭირნახული არ გადაეწვა გვალვას. ივნისის წყალობით ვისაც-კი ჰქონდა პური და ქერი დათესილი, ძლიერ კაკლიანი გამოდგა, ოღონდ ის კია, რომ ცოტასა სთესავენ. სიმინდსაც ჯერ კარგი პირი უჩანს, თუ გვალვამ არ შეუშალა ხელი და დროზედ მოასწრო წვიმამ. ამისთანა დარების შეწყობით იმედი გვაქვს, რომ სხვა დროსავით იქნება არ დაგვჭირდეს წელს ცხენ-ჯორებით ორი-სამი დღის სიშორიდგან ნასყიდის ჭირნახულის ზიდვა. თუთუნის ნერგებიც ამისთანა წვიმიანი დარების შეწყობით კარგად ხეირობს.

თუთუნისთვის ისა სჯობს, რომ წვიმამ უხშიროს, კვირაში ერთხელ მაინც არის საჭირო წვიმა, რომ იხაროს ნამუშევარმა. მერე ერთად-ერთი ფუხრის გაჭირვებისაგან გამომყვანი ეს თუთუნია და კარგს მდგომარეობაშიაც იქნებოდა ფუხარა, მთლად რომ იმასა რჩებოდეს და მონაწილე არ ჰყავდეს ამ თუთუნისა და რიგიან ფასადაც გაჰყიდდეს. მონაწილეს იმიტომ ვამბობთ, რომ თითქმის ნახევარზედ მეტი ამ თუთუნის ფასი ოსმალეთში მიაქვთ, რადგან იმის მომყვანნი იქიდგან გადმოსული ლაზები არიან, რომელნიც სანახევროდ აკეთებენ თუთუნს. აქაურობაში ძალიან ძვირად შეხვდებით იმისთანა მოსახლეს, რომელსაც 2—5-მდე ამისთანა მუშა არ ჰყავდეს და ამათ, სინამდის თუთუნს მუშაობა უნდა, ნაყიდის ჭირნახულით არა ჰკვებავდეს. აქაურები მეტად ზარმაცნი არიან, ლაზები აკეთებენ თუთუნს და აქაურები-კი დილიდგან საღამომდის ხახა მშრალები შეჰყურებენ იმათ მუშაობას და ფეხი-ფეხზედ გადადებული პაპიროსის წევაში ალამებენ უქმად. ხანდის-ხან ისეც მოხდება ხოლმე, რომ რაც ლაზებისთვის საჭმელი უჭმევიათ, იმის ნახევარ ფასსაც ვერ აიღებენ თუთუნის გაყიდვიდგან, რადგან ან გვალვა სწვავს და ან ჩარჩი ნახევარ ფასად აცლის ფუხარას ხელიდგან. დარმაც რომ ხელი შეუწყოს და ბლომად მოუვიდეთ თუთუნი, ფუხარას მაინც არა რჩება-რა, ვაჭრნი მიმინოსავით შესცქერიან, როდის აქვს საწყალს კაცს გაჭირვებაო, რომ იაფად ჩაიგდონ ხელში ამისთანა ვაი-ვაგლახით მოწეული ჭირნახული. იმ მუქთა ყლაპიებმა კარგად იციან, თუ რა დროს ადგას თუთუნის პატრონს კარზედ გაჭირვება და სწორედ იმ დროს წამალსავით მოასწრობს ხოლმე, რომ ასიამოვნოს და სიკეთე დასდოს ჭირნახულის ნახევარ ფასად ყიდვით.

მერე კაცი რომ დაუკვირდეს ამ ლაზების საქმეს, იმათ ამ ქვეყნისთვის ზარალის მეტი არა მოაქვთ-რა. ისინი, რა-კი აქ ბინადარნი არ არიან, არავითარს ქურდობასა და ავაზაკობას არ ერიდებიან. მაგალითებრ, შარშან ერთმა ლაზმა მოჰკლა ერთი აჭარელი ჯარის-კაცი მურღულში, მოკვლის შემდეგ ორს საათში ოსმალეთში ამოჰყო თავი და დღესაც გარბის. წელსაც მოჰკლეს მუხთარ ბოლქვაძე, მკვლელთა შორის ერთი ლაზიც ერია, რომელმაც პირველსავით ოსმალეთისკენ გაუტია. დიდად სასარგებლო და სამადლო საქმე იქნებოდა ხალხისათვის, რომ აწი ამ ლაზების წინააღმდეგ რაიმე ღონე ეღონათ და აელაგმათ იმათი ცუდი საქციელი.

ვგონებთ არ იქნება უადგილო, რომ ორიოდე სიტყვა აქაურ ქალების შესახებაც ითქვას. როგორც ქალები არიან მუშები, ისევე რომ კაცები იყვნენ, მაშინ ამათ ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფდა, და ეჭვი არ არის, რომ ლაზების მონახევრეობა და რჩენა არ დასჭირდებოდათ, და ის ფული, რომელსაც ისინი ეზიდებიან ოსმალეთში, ამათ დარჩებოდათ. მგონი ისეთი გულ-ქვა არავინ იქნება, რომ აქაური ქალების მუშაობა ჰნახოს და არ შეიბრალოს. საწყალი ბაღნიანი ქალი დილიდგან საღამომდის ერთის ოყიანის თოხით ყანას თოხნის და ხან-და-ხან ხარებსაც მისდევს და ჰხნავს ყანას. საღამოზედ, შინ რო დაბრუნდება, თავის ქმარშვილს ვახშამი უნდა დაუმზადოს, ნავახშმევს მეორე დღისთვის საჭმელი უნდა გაიკეთოს, დილა ადრიან თავის საჭმელი და ბაღნიანი აკვანი თითქმის ერთის საათის სავალ კორტოხის მთაზედ აიტანოს და იქ უნდა აწოვოს ბავშვს ძუძუ. ბევრგან შეხვდებით, რომ აკვანი ხეზედ აქვს ჩამოკიდებული, არაფერმა უკბინოს ბაღანასაო, და თვითონ-კი იქვე ახლო მუშაობს, რომ თუ ვინიცობაა ბავშვი ატირდეს, თავის დროზედ მიაწოდოს ძუძუ. ისიც კაი ღვთის წყალობა იქნებოდა ქალისათვის, რომ აკვნის ატანა-ჩამოტანაში მაინც მოხმარებოდა ქმარი თავის ცოლს, მაგრამ კაცები ამ მხრივაც არა ჰშველიან და დილიდგან საღამომდის, ან ყავახანებში ალამებენ, თუ არის მახლობლად სადმე, და ან ჯამის შადრევანში მოიყრიან ხოლმე ათობით და ოცობით თავს და ჰლაქლაქებენ დაზარმაცებულები.

ივ. ჯაიანი

**სოფ. სტეფან-წმინდა** (საქართ. სამხედრო გზა): 29 წარსულ თიბათვეს დევდორაკის საყინულე (ყინვარის მთა) ინახულეს კიევის გიმნაზიის კურს-დამთავრებულმა მოსწავლეებმა. ისინი იყვნენ სულ 28 კაცი, რომელთაც წინ უძღოდა დირექტორი იმავე გიმნაზიისა ვ. პეტროვი და ინსპექტორი ბ. კონსტანტინოვი. ამათთანვე მოგზაურობდნენ ოთხი მასწავლებელი ზემო აღნიშნულის გიმნაზიისა. მოგზაურნი ყინვარის მთიდგან იმავე დღის საღამოს 7 საათზედ დაბრუნდნენ, ის ღამე ყაზბეგის ფოსტის სადგურში გაატარეს და მეორე დღეს, თიბათვის 30-სა, მოგზაურნი საქართველო სამხედრო გზით ტფილისისაკენ გაემგზავრნენ.

ამას წინად „ივერიის“ ერთ ნომერში იყო დაბეჭდილი მატყლის გაუყიდველობისა და უმაზანდობის ამბავი; ისიც იყო ნათქვამი, რომ ჩარჩები 4 მანეთს იძლევიანო. ეხლა იქამდე უარეს ჩარჩებმა მატყლის პატრონებს, რომ მაზანდა სამს მანეთს და სამს აბაზს არ აღემატება. თუმცა ზოგ-ზოგები კიდევ უმაგრდებიან, მაგრამ ეჭვი არ არის, ბოლოს ყველანი ამ მაზანდის მსხვერპლნი შეიქმნებიან. საკვირველი უთაურობა არის ჩვენის

---

განა იმისთანა მდიდარი საცოლო ჩემზედ უკეთესს ქმარს ვერ იშოვნის? უკეთესს-მეთქი, ვამბობ, მაგრამ რითი! მხოლოდ იმითი, რომ ახალგაზდასა და თავადიშვილს?

— რაებს ამბობ, ნიკო! განა არ იცი, რომ ეხლა ხალხი მაგეებს აღარ უყურებს? იციან სამსახურის კაცი ხარ, კარგს ჯამაგირს იღებ... მოხერხებული ხარ და...

— მაშ მართალს მეუბნები?

— გაგიჟდი, რა მრჯის, რომ მოგატყუო! იმასაც გირჩევ, რომ კაცი მალე გაუგზავნო! საქმეს მიტანება უნდა, თორემ, ხომ იცი, ბევრი მტერი ჰყავს ადამიანს.

— ვინ გავგზავნო?

— მე თუ მკითხავ, გირჩევ ისეთი კაცი გაჰგზავნო, რომ, ჯერ ერთი, საიდუმლოდ შეინახოს დრომდე, მეორე, იმათ ოჯახის მახლობელიც იყოს! იცი ვის გირჩევ! მოდი მუნჯი კიკო გაჰგზავნე. იმათ კარგად იცნობს და საიდუმლოს შენახვა ხომ იმაზედ უკეთ არავის შეუძლიან...

— მართლა რა კარგი აზრი სთქვი და! სწორედ რომ მუნჯი კიკო ძლიერ კარგი მაჭანკალია! მე ვიცი საიდუმლოდ ვერ შეინახავს და ენა-ჭარტალასავით ქვეყანას შეგვიყრის!

— ეგეც რომ არ იყოს, სხვა შუა კაცი ჯილდოსაც მოგვთხოვს და მუნჯი კიკო-კი საქმეს უხარჯოდ მოგიხერხებს...

— დღესვე ვნახავ კიკოს და დავავალებ კიდეც.

— დაავალებ-კი არა, თქმა და გაგზავნა ერთი უნდა იყოს...

— მაგრე იყოს...

გადასწყვიტა ნიკომ და თითქო საქმე უკვე გაიჩარხაო, ღვინით სავსე ჭიქას მოავლო ხელი და ნიშანში ამოღებულ საცოლეს სადღეგრძელო გადაჰკრა.

—

გასჭრეს და გადასწყვიტეს ამ ორმა ეხლანდელის დროის რაინდებმა შვიდასის თუმნით ხელის მოთმობა... რა ეს და რა სხვა. ეს ორი, სულით და გულით, აზრით და მიმართულებით, ოსტატობითა და მოხერხებით, ერთგვარნი და სახე-გარეგნობით და წლოვანობით-კი სხვა-და-სხვა ადამიანები ძალიან ერთგულად ჰმოქმედებდნენ... მოხუცი სიმონი — წლოვანებით თუ უკან-უკან მიდიოდა, სამაგიეროდ დღითი-დღე გაგეშილ მგელივით სუნაგდებოდა და ოდნავ ბეუტავ თვალებს ქურდი მელასავით აცეცებდა... სადა ვნახო დაბალი ღობე, რომ გადავლახოო, სად შემხვდება გაჭირვებული, რომ ჭირი მივუმატო, ბუქნა ვახტუნო და იმისი გროშები ჩემს ჯიბეში ჩავახტუნოო. ბევრი მსხვერპლი ახსოვს თავის სიცოცხლეში, ბევრი ცრემლი უნახავს, მაგრამ იმის სამსახურის დავთარ-ქაღალდის მტვერით შექანგული გული, ერთ აზროვნობით გაჩლუნგებული ტვინი მხოლოდ მაშინა ჰგრძნობდა მოსვენებასა და სიამოვნებას, როცა თავის მსხვერპლს თვალითა ჰხედავდა.

ნიკო? ნიკო ხნოვანებით თუ ახალგაზდა იყო, სამაგიეროდ ჭკუა-გონებით შორს ვერ წაუვიდოდა სვიმონს, მოხერხება — გაიძვერობით ხომ აჭარბებდა კიდეც. დიდი ხანი არ იყო, რაც ეს ორი მარგალიტნი დაახლოვდნენ, სულმა სული იცნო და გულმა-გული მეგობრულად ახალმა და ძველმა მოხელეთა მოდგმამ გადაჰკოცნეს ერთმანეთს. ერთ სახლში დაბანაკდნენ შეერთებულის ძალით და თავიანთის უკუღმართის მოქმედებით ძალა გააორკეცეს... ყოფა და მდგომარეობაც ხელს უწყობდა, ძალა ხელთ ეპყრათ და დღითი-დღე სამოქმედო ასპარეზს აფართოვებდნენ... დღეს ხომ ისე წათამამდნენ, რომ წარბ შეუხრელად მაღლა თავაღებულნი, აღვირ-წაყრილნი ნავარდობენ... დრო და გარემოების ღვიძლი შვილები არიან და ძალას აღმართს არ მოახვნევინებენ?.. არა იშვიათია ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში, რომ მელურის ხრიკით უტვინოობის მიერ სიბრძნე და ყოველი ბუნებრივი სიკეთე და ნიჭი პანპულავდება...

ჩვენს უტვინაძესაც სწორედ ჭკუამ ძალა დაატანა, მეგობარმაც ხელი შეუწყო და დღეს პანპულაზედ უარესი გახდა...

უტვინაძემ მეგობრის რჩევით თავისთან დაიბარა მუნჯი კიკო... კიკოს ღმერთმა ენა არ მისცა, მაგრამ სამაგიეროდ ცხოველი ნიჭი და ჭკუა-გონება დააყოლა. კიკო დღეს ვაჟკაცია. წერა-კითვა შესაფერად იცის და ისე მოხერხებულად ლაპარაკობს ხელებით, რომ თავის აზრსა და სურვილს ნათლად აღნიშნავს; თუ ნიშნებით ვერას აგებინებს მოსაუბრეს, მაშინ ქაღალდს და კალამს მიჰმართავს ხოლმე. ქაღალდი და კალამი ყოველთვის თან დააქვს კიკოს. კიკო ყველას იცნობს და ყველასთან მისვლა-მოსვლაცა აქვს, აი ეს მუნჯი ადამიანი ამოირჩიეს მეგობრებმა მაჭანკლად იმ აზრით, რომ საქმე საიდუმლოდ, სხვის გაუგებრად გაეჩარხნათ. ნიკომ კიკოს თავის სურვილი გარდასცა და თანაც დაუმატა, რომ თვით ქალთან-კი არა, იმის მშობლებთან მიმეგზავნეო. ქალი თანახმაა დაუმატა ნიკომ. დაუზარებელი კიკო იმ საღამოსვე გაემგზავრა, ნიკოს დავალების ასასრულებლად! წავიდა კიკო, მაგრამ აგერ თვე გადის და ნიკოსთან აღარ დაბრუნებულა! რატომ, რა მოხდა ისეთი! არაფერი იმის მეტი, რომ ჯერ კიდევ ყველასთვის არ უამბნია თავისი თავ-გადასავალი იმ საღამოს. ყველგან, სახლში, თუ გარეთ, სადაც-კი ნაცნობსა და უცნობს შეჰხვდება, მუნჯი კიკო ყველას ნიშნებით ბევრს რასმე უამბობს, ბოლოს ტაშს შემოჰკრავს, მუშტს კისერში წაირტყავს, მუხლს გაიქნევს და საშინლად გაიცინებს. თავის ნიშნებს ქაღალდზე ასე სწერს კიკო: „უტვინაძეს სურვილით წაველ, ქალის დედას ვაცნობე იმისი სურვილი, მოხუცი დედა წამოვარდა, კისერში მუჯლუგუნი წამკრა, პანჩური ამომკრეს და გამომაგდესო“... დღეს მუნჯი მაჭანკლის და უტვინაძეს პანპულობა-და ალაპარაკებს ჩვენი ქვეყნის ერთს მშვენიერს დაბას.

ი. კახელი

ქვეყნისა, ღმერთმანი! სხვა-და-სხვა საქმით, რომ ვერაფერი ვუშველოთ ჩვენს თავს და ვერა მოვავგაროთ-რა ჩვენთვის სასარგებლო, ამ მატყლის გაყიდვის მხრით-კი ძლიერ ადვილად შეიძლებოდა შველა და აცდენა თავიდგან მატყუარა ვაჭრებისა. თითქმის ყველა ცხვრის პატრონსა ჰყავს ერთი ორი ცხენ-ურემი გამართული, რომლებიც კავკავიდგან ქალაქამდე ყოველ თვეს ეზიდებიან ქირას ფუთს 30—35 კაპ. ერთის ცხენის ურმის საპალნე 30 ფუთს სიმძიმეს ატარებს, რომლის ქირაც შეადგენს ცხრა-ათს მანეთს ფულს. ამ ქირამ უნდა გადაიხადოს ბალთის გზის ბაჟი და კავკავის წვრილმანი ხარჯი. ნუ თუ თავისის მატყლის წაღება-კი შეუძლებელი არის ქალაქში თავისავე ურმებით და პირდაპირ დიდს ვაჭრებთან პირიან ფასად გაყიდვა? უმჯობესი არ იქნება მყიდველისათვისაც და გამყიდველისათვისაც, რომ „იწვნა-იქაფას“ ჩვეული ჩარჩები აღარა შუამავლობდნენ მათ შორის? რაც შეეხება მატყლის მაზანდის შეტყობას ქალაქში არც ეს გაგვიძნელდება. იმედია, რომ ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები უსასყიდლოდ გვიშუამდგომლებენ მატყლის ვაჭრებთან, იკისრებენ ამ სამადლო საქმეში მონაწილეობის მიღებას და არა თუ წელიწადში ორჯელ, ყოველ თვე და თვე ცნობებს მოგვაწვდენენ მატყლის მაზანდისას. მაშასადამე, აქ ვაჭარ-ჩარჩების შუამდგომლობა საჭირო აღარ არის და ადვილად შეიძლება სხვა-და სხვა ფანდებით მოტყუება თავიდამ ავიცდინოთ.

კალმისწვერა

---

**სოფ. მელექედურა** (გურია), 4 ივლისი. მართლა რომ, საკვირველია, ასე უკუღმართად სვლა და სიარული. არა მგონია, მეორეც იყოს ასეთ უბედურ ვარსკვლავზედ გაჩენილი სოფელი, როგორც მელექედურია. ჯერ ხომ ოთხი წელი ვაი-ვაგლახი და საცოდაობა ტრიალებდა ფირალების გამო. გაიხედავდით თუ არა, მელექედურის მინდვრები მოფენილი იყო ყაზახ-რუსებით. რამდენისამე კვირის შემდეგ „ეგზეკუციაც“ აგვაშორეს, მიიწვიეს მამასახლისი და უბრძანეს, თვალ-ყური ედევნებინა, თუ ვინმე აღმოჩნდებოდა ფირალის ხელის შემწყობი. ისინი-კი, რომლებსაც ფირალებთან კავშირი ჰქონდათ, ამ დროს უკვე საპატიმროში ისხდნენ ხელ-ფეხ შეკრულნი. თითქმის წლამდის დარჩა მამასახლისი აქ და, რასაკვირველია, ეს დაჩაგრული სოფელი იხდიდა მამასახლისის ჯამაგირს.

ამას როგორც იყო მორჩნენ, მაგრამ ეხლა სხვანაირად შეიცვალა მელექედურის ბედ-იღბალი, ახლა სხვა დავა აუტყდათ. აი მიზეზი ამ დავისა.

ამ სოფელ შუა მიმდინარეობს მდ. ნატანები. მარჯვენა ნაპირს სამხრეთით მაღლობ-დაბლობი ადგილები აკრავს, ეს ადგილები, სულ თუ არა, უფრო-კი აზნაურობას ეკუთვნის. აქ გახლავთ ორი ეკკლესია: ივანე ნათლის-მცემლისა და წმინდა გიორგისა. ეს ეკკლესიები ახლო ახლოა, ასე რომ ერთი ვერსიც არ იქნება ამათ შუა. ივანე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში დიდი ხანია, რაც წირვა-ლოცვა შესწყვიტეს. აგვისტოს 29-ს წმ. იოანნეს თავის-კვეთის დღეს აქ დიდ-ძალი ხალხი იკრიბება. წირვა-ლოცვის შეწყვეტის მიზეზი ის გახლდათ, რომ აქ მცხოვრებთა რიცხვი ნაკლები იყო და ახლოც იყვნენ ერთმანეთთან ეკკლესიები. ერთად შეაერთეს და შტატი წმ. გიორგის ეკკლესიას აკუთვნეს. ჩრდილოეთით-კი უფრო გაშლილი და დაცემული მინდვრებია. ეს ადგილები სახაზინოა. აქ ბლომად აკრავს ტყე, საბალახო ადგილები, წყალიც საკმაოდ არის, რომლებზედაც წისქვილები ბრუნავს. სოფლის ცხოვრების დაუშრომელი წყარო ეს ადგილებია. თუმცა-და ეს მიწები საბაჟოა, მაგრამ მაინც უადვილდება ცხოვრება კაცს. ამის გამო ეს ადგილი მცხოვრებლებით მოიფინა და გაიმართა ჩინებული სოფელი, რომელიც მცხოვრების რიცხვით დიდად აღემატება ნატანებს. აქ დიდი ხანია ეკკლესია არ არსებობდა და დადიოდნენ ზემოხსენებულს ეკკლესიებში წირვის მოსასმენად. ბოლოს რაკი სოფელი გაძლიერდა და ეს ეკკლესიები დაუშორდათ, მოინდომეს თავიანთ ახლოს ეკკლესიის აგება. ამოარჩიეს საეკკლესიო ადგილი და ააგეს პატარა ფიცრის ეკკლესია მთავარ-ანგელოზის სახელობაზედ. ამ ეკკლესიის აგება უფრო იმან გაჰხადა საჭირო, რომ მდინარე ნატანების წყალობით ხშირად აკლდებოდნენ წირვა-ლოცვას, მეტადრე წყალ-დიდობის დროს, უბრალო ხიდს ადვილად იტაცებდა წყალი.

ეკკლესიის დაარსების შემდეგ გავიდა რამდენიმე წელიწადი, ეკკლესია შეძველდა და რამდენჯერმე შეაკეთეს. მაგრამ რადგანაც ყოველ-წლობით უნდებოდა შეკეთება, ამის გამო შეუდგნენ ქვის ეკკლესიის აგებას. მოაგროვეს მასალა, მოიწვიეს ოსტატი ბერძნები და დაიწყეს მუშაობა. სწორედ იმ დროს ეს სოფელი აირდაირია ფირალების გამო და ამ ეკკლესიის მუშაობას თავი გაანებეს, რადგანაც დიდი მწუხარება დააწვათ კისერზედ.

ეხლა როდესაც ფირალების აურზაურსაც მორჩნენ, ხელ-ახლად შეუდგნენ დაუსრულებლად დარჩენილი ეკკლესიის დამთავრებას. მაგრამ აქ ერთი აყალმაყალი, შფოთი და დავიდარაბა ასტყდა. დავა ჩამოუვარდათ იმის გამო, რომ გაღმელები გამოღმელებს არ ანებებენ ეკკლესიის დასრულებას, ეუბნებიან ჯერ უნდა აქაური ფიცრის ეკკლესია დავარღვიოთ და ქვისა ავაგოთო. ამას ესენი არ ეთანხმებიან. ესენიც თავისას გაიძახიან: ჯერ ეს ეკკლესია მოსრულდეს, რომელიც რამდენიმე წელია დაწყებული გვაქვს და აქამდე ვერ დავამთავრეთო. ეს დავა იქამდე გამწვავდა, რომ უმაღლესს სასულიერო მთავრობას მიჰმართეს და იმან უნდა განიხილოს, ვნახოთ როგორ წავა საქმე?!

ჩ—ძე

---

### წერილი სოჯავახოდგან

—

პეტრე-პავლობის იარმუკობა, 29 ივნისს დაწყებული, დამთავრდა 7 ივლისს. წლევანდელი იარმუკობა მაგდენად სათვალჩინო ვერ გამოდგა. ვაჭრები შარშანდელზედ ბევრად ნაკლებნი იყვნენ. რაც შეეხება აბრეშუმის ვაჭრობას, ისეთი წმინდა და კარგის ფერის აბრეშუმი გაეკეთებინათ ჩვენს ღარიბ ხალხის ოჯახებს, რომ ამისთანა კარგის ფერის აბრეშუმი წლევანდელის მეტად არავის უნახავს. ეს იმის წყალობით მოხდა, რომ წელს უმეტესობამ გამოწერილი თესლი იყიდა და, რასაკვირველია, კარგისა და საღის თესლიდგან კარგი აბრეშუმი დადგებოდა, თუმცა აბრეშუმი მოსაწონი იყო, მაგრამ პირ-შეთქმული ვაჭრები ძლიერ იაფად ყიდულობდნენ. ასე გასინჯეთ, ქსანი ($1^1/_3$ გირვანქა) ხშირად ექვს აბაზად და შვიდ აბაზად იყიდებოდა.

ამას გარდა ზოგიერთები წონაშიაც ბევრს აკლებდნენ და ათასნაირად ატყუებდნენ ჩვენს მოხუცებულებს. აბრეშუმით მოვაჭრენი უფრო ურიები იყვნენ. იმათ კარგად იცოდნენ, რომ სიმინდის ფასის დაცემის გამო ჩვენში ფული ძვირად თუ ვისმეს ექნებოდა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთად-ერთი იმედი სოფლელებისათვის აბრეშუმის გაყიდვა იყო და ამიტომ პირი შეჰკრეს და ყველას, ვინც ოქრო-მკედის ფერს აბრეშუმის ძაფს მიაწოდებდა, ამას ეუბნებოდნენ: „ქსანში ექვს აბაზს მოგცემთ, თუ გინდა, თუ არა და წაიღეთ, შარშანდელმა აბრეშუმმაც გვაზარალა, ვერ გავასაღეთ და წრეულს რეიზა ვიყიდოთ, აბრეშუმს ფასი დაეკარგაო. აბრეშუმს ფასი-კი არ დაჰკარგვია, გამყიდველებს გვაკლდა ჭკუა, რომ დიდის შრომით მოპოვებულს ჩალის ფასად ვაჩეჩებდით ხელში წურბელა-ვაჭრებს. გვიანღაა ეხლა ამის გამო ჩივილი.

აბრეშუმის მსყიდველთა შორის მხოლოდ ერთი შორაპნის მაზრიდგან მოსული ქართველი არდიშვილი ჰვაჭრობდა პატიოსნათ. არდიშვილის სინიდისიერმა ვაჭრობამ მთელის ხალხის ყურადღება მიიქცია და ისე ეხვეოდნენ იმისს კარავს მეაბრეშუმეები, როგორც ფუტკარი თაფლს სკაში. ბლომადაც იყიდა აბრეშუმი, აწონვის დროს დაესწარი და იმისი აბრეშუმი ოცი ფუთი გამოვიდა. ამას შემდეგ მაინც კიდევ ჰყიდულობდა.

მ. თევზაძე

---

## უცხოეთი

—

**შვეიცარია.** შვეიცარიაც ამ მოკლე ხანში სასტიკ ღონისძიებას მიიღებს ანარხისტთა და იმათის მოღვაწეობის წინააღმდეგ. ამ საგნის შესახებ ბერნიდგან აი რასა სწერენ გაზ. „Berliner Tageblatt“-ს:

„შვეიცარიაში დიდი ხანია საკვეთილოდ იცნეს სასტიკი კანონი გამოეცათ ანარხისტთა წინააღმდეგ, მაგრამ მოკავშირეთა საბჭო აგვიანებდა კანონ-პროექტის შეტანას. შარშან ზამთარს-კი, როდესაც ანარხისტთა მიერ ჩადენილმა დანაშაულმა პარიჟსა და ბარსელონში მთელი ევროპა შეაძრწუნა, მოკავშირეთა მთავრობამ წინადადება წარუდგინა საკავშირო კრებულს და იმ აზრისა იყო, რომ ანარხისტთა წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონი უნდა გამოვცეთო.

ამ თვის განმავლობაში ეს კანონი ძალაში შევიდა. კანონის განმარტებაში მოკავშირეთა საბჭომ განაცხადა, რომ, თუმცა შვეიცარია ჯერჯერობით არ გამხდარა მედინამეტეთა ასპარეზად და მოედნად, მაგრამ არის-კი ნიშნები, რომ დღე-დღეზედ ესეც მოხდებაო. მოკავშირეთა საბჭო დარწმუნებულია, რომ სასტიკი კანონი აღმოჰფხვრის ანარხისტთა დანაშაულს. ახალის კანონით ყოველი დამნაშავე, რომელიც ასაფეთქებელ ნივთიერებას იხმარებს საავაზაკო განზრახვით, დასჯილ იქმნება, სულ ცოტა, 10 წლის დაპატიმრებით. ამავე ასაფეთქებელ ნივთების შემნახველნი-კი 5 წლით იქმნებიან დაპატიმრებულნი. ისინიც დასჯილნი უნდა იყვნენ, ვინც ამ ნივთებს ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადაიტანენ. კანონი სდევნის აგრეთვე იმათაც, რომელნიც ან დასწერენ და ან დაჰბეჭდენ მუქარის ფურცლებს, რათა ამბოხება გამოიწვიონ, ამასთანავე არა თუ მარტო ამ ნაწერის ავტორები დაისჯებიან, თვით ამწყობებიც, თანაშემწენიც და ამ აზრის გამავრცელებელნიც.

იგივე ბერლინის გაზეთი კითხულობს, რას უპირებენ სახელმწიფონი იმ ანარხისტთ, რომელნიც კანონის ძალით, იქმნებიან გაგზავნილნი თავიანთ სამშობლოში. „Berliner Tageblatt-ი შენიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს არა აქვს ნაკისრი შეივრდომოს თავისნი ქვეშევრდომნი ანარხისტნიო. ამისთანა სახელმწიფოთა რიცხვში, სხვათა შორის, საფრანგეთიც ურევია. ეს საგანი დიდად საყურადღებოა და უეჭველია იგი შეიქმნება საერთაშორისო მოლაპარაკების საგნად.

—

**საფრანგეთი.** ორის დეპარტამენტის პირველ ბატალიონის აფიცრებად ნამყოფებმა ჰნახეს თავის ამხანაგი. ორი აფიცერი მივიდა სანახავად ეხლანდელ საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტთან და მიართვეს საჩუქრად ბრინჯაოს ქანდაკება „Courage mlitaire“, დიუბუას ნაკეთები.

ამ ბატალიონის კაპიტანთა შორის ყველაზედ უფროსმა, ბიდენმა, მიჰმართა კაზიმირ პერიეს შემდეგის სიტყვით:

„ძვირფასო პრეზიდენტო, მტრის ტყვიის ქვეშ 13 ოქტომბერს 1870 წ. კაპიტანმა კაზიმირ პერიამ წამოაყენა ბრძოლის ველიდგან ჩვენი უბედური უფროსი მაიორი დამპიერა, სასიკვდილოდ დაჭრილი მტრის ტყვიით. შემდეგში იმავე კაპიტანმა კაზიმირ პერიემ თავისის ჯარით დაიპყრო სიმაგრე რომელიც ჰმეთაურობდა მთელს ჯარს ს. ბანიეში. ამ ორის გამარჯვებისთვის კაპიტანი პერიე დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო ლეგიონის ორდენით, რომელმაც საერთო აღტაცება გამოიწვია მთელს ბატალიონში, იმ სახსოვარი დღის ნიშნად დღეს თქვენმა ჯარის ამხანაგებმა თავისის პატივისცემის ნიშნად მოგართვეს ეს საჩუქარი. გთხოვენ მიიღოთ ეს მცირე ძღვენი, ვითარცა ნიშანი პატივისცემისა, მადლობისა და სიყვარულისა თავის სახელგანთქმულის და ძვირფასის პრეზიდენტის მიმართ. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მეორე კაპიტანმა, რომელშიაც ღირსეულად იყო მოხსენებული და ნაქები პრეზიდენტი რესპუბლიკისა, ვინაიდგან იგი ისეთი კაცია, რომ თავის სიცოცხლის ყოველს წამს ჰქონდა გული ჯარის კაცისა. ამ სიტყვების გამო პრეზიდენტს გული აუჩვილდა, ორივე ორატორი გადაჰკოცნა და მთელს დეპუტაციას გულითადი და ხანგრძლივი მადლობა გადუხადა. ამის შემდეგ სადილი, რომელიც ბანიესთან ბრძოლის სახსოვრად იმართება ხოლმე, ყოველთვის ელისეის სასახლეში იქმნება გარდახდილი.

---

### წერილები რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ მე-144 №-ში დაბეჭდილი, „ბორჯომიდგან“ ამბავი გარდაცვალებულის, პიასიცკის ჩემის სასტუმროდგან განსვენების შესახებ, სწერია, ვითომც მე იმის მეუღლის ნება-დაურთველად, გამესვენებინოს უკუბოდ და მეთქვას, სომხობაში ასეთი წესია, რომ მკვდარს ღამე ვასვენებთო. რადგანაც ეს ამბავი ყოველისავე სიმართლეს მოკლებულია, ამისათვის გთხოვთ დამიბეჭდოთ ეს წერილი სიმართლის აღსადგენად: ჯერ-ერთი რომ მე იმ დროს, როცა გარდაიცვალა და გაასვენეს, ბ-ნი პიასიცკი, მე ბორჯომში არ ვიყავი და საიდგან მოიგონა კორესპონდენტმა, ვითომ მე მეთქვას, სომხებში წესია, რომ გარდაცვალებულს ღამე ვასვენებთ-მეთქი. აი საქმე როგორ ყოფილა: გარდაცვალებულის ცოლს თავისთვის საკუთრივ ორი მოსამსახურე ჰყოლია ბორჯომელები, ერთი ქალი და ერთი კაცი. როდესაც უბედურება სწევია მოსამსახურეები გაუგზავნია კუბოს შესაკვეთლად. როცა კუბო მოუტანიათ ჩემს სასტუმროში, გარდაცვალებული მაშინვე ჩაუსვენებიათ. იქ მყოფ სხვა მდგმურებს უთხოვნიათ პიასიცკის ცოლისთვის, რომ სჯობიან ცხედარი ეკკლესიაში დაასვენებინოთო; აქ, ჯერ ერთი, სუნი აუვაო და, მეორე, ჩვენც შეგვაწუხებთო. ბ-ნ პიასიცკის ცოლს უთქვამს, როგორც მოიტანონ კუბო, ეკკლესიაში გაასვენეთო; თვით იმის მოსამსახურეებს მოუყრიათ გაცვებისათვის თავი და გაუსვენებიათ არა შუაღამისას, არამედ დილის 5 საათზედ. ეხლა ვკითხოთ ან მე რა შუაში ვარ, ან ჩემი სასტუმრო?

ივანე გაზმარაროვი

---

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,42 | 7,44 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 149 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $240^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | 225 „ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | $190^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | $101^3/_4$ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | 101 | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | 102 | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | $99^1/_8$ |


# განცხადებანი

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. შროტასვეგიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**




ამხანაგობა
„ჯანმრთელობისა“
სუნელოვანი
ხიმიკური-წმინდა
**ბრინჯის უმარილი**
**(პუდრა).**
ისყიდება საუკეთესო მაღაზიებში.
ნარდად შეიძლება ყიდვა:
**ს.-პეტერბურგის ტეხნო-ქიმიურ ლაბორატორიაში.**
**ს.-პეტერბურგი.** ალექსანდრეს თეატრის მოედანზედ, 9.
**მოსკოვი**, ნიკოლსკის ქუჩა, სახლი შერემეტევისა.
**ვარშავა**, „ნოვი სვეტში“, 37.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

# ქრისტინე

მოთხრობა
**ე. ნინოშვილისა**
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
**ფასი ერთი აბაზი**




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობსაის“ წყობში.

დამზღვევი საზოგადოება
# „იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—28)

## სასაპარელო ესსენცია კოლბერისა
(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჭდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

# „ივერია“


ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათა დე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.





ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

**ტფილისში, იარმუკაზედ.**

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ხორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიგის ფერად აჭქალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრომ საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას,

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

ადალო თუთაევი

Maison HERMANN—ACHAPELLE, J. BOULET & C-ie,
ucc-rs 31 et 33, Rue Boinod, პარიჟი

ოთხი ოქროს მედალი, მსოფლიო გამოფენა 1889 წ. ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.

## განუწყვეტლად მომქმედი მანქანა

სიფონები
დიდია და პატარა მილით



ყველა ნაირ
მუშხუნა სასმელების
გასაკეთებლად
სელტერისა და სოდის წყალისა,
მუშხუნა ღვინისა.
მინიდგან ვერცხლით დაფერილ
სიფონები ყველა
ზომისა და
ფერისა

ფასი სიფონებისა მეტად დაკლებულია. Manuel du Fabricant de Boissons Gazeuses ფასი 5 ფრ. დაწვრილებითი სია უფასოდ იგზავნება.

# დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიიში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად-32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც შეიცავს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, ზნეობრივს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა. საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—9)


Дозволено цензурою Тифлисъ, 15-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.